ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ხუთშაბათი, 25 იანვარი № 1364

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 25 იანვარს 1901 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ვ. გამყრელიძის და გ. კანდელაკის საბენეფისოდ ვლ. სარ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით და რეჟისორობით

პირველად ახალი და პრემიით დაჯილდოვებული პიესა

ეპანიწარი

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად დ. ნახუცრიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, მდივანი და გარელი; ბ-ნნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, ავალიანი, მირიანოვი, იმედაშვილი, სარჯველაძე, იორდანოვი, ბეგლარა და სხ.

შემდეგი წარმოდგენაა კ. მესხის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება **„მადამ-სან-ჟენ“**.

მზადდება წარმოსადგენად **„ორი გმირი“** და **„ციხის საიდუმლო“**.

დასაწყისი 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია. რეჟისორი ვ. გუნია.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დ ი ღ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე — კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ს. გედევანიშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრონით — 9—10 ს.

ნ. ს მუდინი — ყურისა, ყელისა და ცხვირისა — 10—11 საათამდე.

ი. ბ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი — 10—2 საათამდე.

ს. ნ. შატილოვი — თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ს. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინაგანი — 12—1 საათამდე.

ვ. დ. მარკვეზი — სადოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და სასქარდესი — $1^1/_2$—2 საათამდე.

მ. ბ. ბეზირგანოვი — შინაგანი და ბავშვებისა 1—2 საათამდე.

ს ა დ ა მ ო ი:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი — 5—6 საათამდე.

ს. ს. ბელოგოლოვი. — შინაგანი (სტომაქის ავთმყოფობანი) და ბიერო-ქიმიური გამოკვლევანი. — 5—6 საათზე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი დარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანიშვილისა, № 21 (გარანტოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი

(წდ.) მიხეილ გედევანიშვილი

მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესი ბრძანება სამოქალაქო და სასულიერო უწყებას:

კოლეგ. რეგისტრატორს დავით მალალაშვილს და ზზნაურს ექვთიმე ხელაძეს ებოძათ წმ. სტანისლავის ორდენები მე-3 ხარისხისა.

ეკატერინოდარის საოლქო სასამართლოში სასამართლო თანანდებობათა უფროსს კანდიდატს გუბ. სეკრეტარს ჩარექიშვილს ებოძა კოლეგსკი სეკრეტრობა.

ამიერ კავკასიის რკინის გზების კონტროლის მოხელეს მიხ. ჭილაშვილს ებოძა კოლეგ. რეგისტრატორობა.

ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს ტიტ. სოფეტნიკს ჯანაშვილს ებოძა კოლეგსკი ასესორობა.

კოლეგსკი ასესორობა დაუმტკიცდა ქუთაისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელს ჩოგოვაძეს

სტუდენტების დახმარების შესახებ*)

ჩემის აზრით, ერთი გზაა, რომ მკვიდრი მუშაობისთვის მსურველებმა შინაურად წვრილ-წვრილი წრეები მოამზადონ. რამდენსამე კაცს შეუძლია იტვირთოს თითო კაცის გამოზრდა მაღალ სასწავლებელში რუსეთში ან საზღვარ-გარეთ. ამისთანა წრემ წინადვე უნდა კარგის სიფრთხილით და გაცნობით უკეთესი მომზადებული, ნიჭიერი შრომის მოყვარე ახალგაზდა გამოსძებნოს, დაუნიშნოს მას ოთხი-ხუთი წელიწადი სახარჯო და მოსწავლე გაგზავნოს, რა საგანსაც თითონ მოისურვებს თავის ნებაყოფლობით.

ამისთანა დახმარება უნდა იყოს ნამდვილად ასრულებული და არა ჩვენებური დაპირება. ჩვენში ყოფილა იმისთანა მაგალითები, რომ ერთ დღეს აპილპილებული რომელიმე ჯგუფი სტუდენტს დაჰპირებია და მერე რამდენსამე თვეზე გაგრილებულა, უარი უთქვამს, საფანელი შემომაკლდა და როცა მექნება მაშინ შემოვიტან დასახმარებელ ფულსაო. ეს სწორედ ჩვენებურ საზოგადოებათა წევრების მსგავსი მოქმედებაა. დღეს ჩაეწერებიან და ხვალ სულ ავიწყდებათ თავისი ვალდებულება. ეს საძაგელი სიცრუეა, რომელიც თავსაც იტყუებს და სხვასაც ატყუებს. ამისთანა მატყუარა წევრისაგან შემდგარი წრე და საზოგადოება ცრუ მატყუარა წრე და საზოგადოებაა. ამისთანა კაცების წრის ხსენება არ გვინდა. ჩვენ რომ სტუდენტების დახმარების წრეს ვლაპარაკობთ, გვეგულება ნამდვილი საქმის მოყვარე, მისთვის მზრუნველი, მისთვის მშრომელი გულით და ფულით.

ათიოდე კაცს არ გაუჭირდება თითო სტუდენტის დახმარება, თუ მართლა აფასებენ ჩვენის ქვეყნის განათლების ბედს, თუ ნამდვილი დახმარება სურთ ახალგაზდობისა. ამ გვარი წრეები ყოველგან არიან, მეტადრე საზღვარ გარეთ, შემუშავებული აქვთ თავისი შინაური წესები. მაგალითად, ამ გვარი წესი აქვთ, რომ ამორჩეულ ახალგაზდას რამდენიმე კაცი სტიპენდიას აძლევს ოთხი-ხუთის წლის განმავლობაში, უნიშნავს ყოველ საჭირო სახარჯოს იმ პირობით, როდესაც დაასრულებს კურსს და საშუშაოს იშოვის, იგი ვალდებულია მიღებული ფული უკანვე დაუბრუნოს დამხმარებელ წრეს სხვა სტუდენტების აღსაზრდელად. ამ გვარად აღზრდილი, კურსის დასრულების შემდეგ, როცა სამუშაოს შოულობს, ნაწილ-ნაწილად იხდის ვალს და ამის გათავების შემდეგ თვითონაც ხდება წრის წევრი. ამისთანა ღონისძიებით თან-და თან იზრდება წრეები, მრავლდება ნასწავლ-განათლებულ კაცების რიცხვი და, ბოლოს, მთელი საზოგადოება ფუძნდება.

ეს, რასაკვირველია, არა ჰგავს ჩვენებურ დახმარებას. ჩვენში თუ შეწევნა ყოფილა, სულ შემთხვევითი ყოფილა. დღეს ერთ სტუდენტს ორ თუმანს მოუგროვებენ, მეორეს ერთ თუმანს, მესამეს სამი თვის სახარჯოს, მეათეს და მეასეს რამდენსამე მანეთს ან თუმანს გაუგზავნიან. ბევრჯელ არც სტუდენტის ცნობა აქვთ, არც იმისი სულიერი და ნივთიერი ავლადიდება იციან; ეს დახმარება გამოწვეულია მხოლოდ ან თვით სტუდენტის თხოვნით, ან გულკეთილ კაცის შუამავლობით. ესეთი შემწეობა, რასაკვირველია, მცირე, რომ მეტი არა ვთქვათ, უმნიშვნელო ნაყოფის მომცემია.

მე მესმის, როდესაც ათიოდ სტუდენტ შორის განაევებული ფული ერთ სტუდენტსა ზრდის საფუძვლიანად მშრომელს, კარგის სიფრთხილით ამორჩეულს წრისაგან. დღევანდლამდე კი ჩვენ არც ამას ვარჩევთ, ვის ჯეხმარებით და არც გამორკვეული წესი გვქონია. ვაბნევდით გაკვრა-გამოკვრით შეკრებილს გროშებს იმისთანა გარემოებაში, როდესაც ვიცით რომ ღარიბნი ვართ. ხელმოკლეობასთან უანგარიშობა სნეულებად გადაგვქცევია.

აი ამიტომ ვამბობთ, რომ ამისთანა სიღატაკის დროს საჯობია ანგარიშიანად დავეხმაროთ მოსწავლე სტუდენტებს ზემოხსენებულ წრეების შედგენით. უნდა დავაწესოთ კანონად, რომ თითო წრემ თითო ახალგაზდა ამოირჩიოს სემინარიელი ან გიმნაზიელი, რასაკვირველია, ისეთი, რომელსაც სწავლის სურვილი აქვს, შრომის მოყვარეა, ზნეობითის და სულიერის ღირსების პატრონია. ამისთანა ამორჩეული ახალგაზდა უეჭველად უნდა მუშაობდეს ამორჩეულ მაღალ სასწავლებელში და არ სეირნობდეს რუსეთის ან სამზღვარ გარეთ დიდ ქალაქებში. (ამას იმიტომ ვამბობ, რომ ამისთანანი ყოფილან, სტიპენდია ჰქონიათ და არაფერ სწავლაზე არ უბეჯითნიათ, გაზეთების კითხვის და ბულვრების ტკეპნის მეტი. ესეც ჩვენი უანგარიშო გულკეთილ ფანტიობის ნაყოფია). თუ წრე ნამდვილ ბეჯითობით შეუდგება თითო ახალგაზდის სტიპენდიის გაჩენას, უეჭველად პირობა უნდა ჩამოართვას რომ, ის გადაიხდის აღებულ ვალს.

ამ გვარად წრეს ღონისძიება ექნება განაგრძოს თვისი მოქმედება და თანდათან გააფართოვოს თავისი მოქმედება. ჩემის აზრით, ერთი კარგად გამოზდილი სტუდენტი მირჩევნია ასს ურიგოდ ნასწავლს.

ვინ უნდა იკისროს ამისთანა ჯგუფების შედგენა?

რასაკვირველია, ყველაზე პირველად თვით ნასტუდენტრების ვალია. ქართველობაში, რომ არ შევრცხვეთ, თუ ათასი ნასტუდენტარი არ დავითვალოთ, ხუთასი მაინც იქნება. ისინი გაფანტულნი არიან საქართველოში ან კავკასიაში. მათ თითოეულ ახლო მაზრებში ან ქალაქებში ადვილად შეუძლიათ შეთანხმდნენ სტიპენდიის გაჩენისათვის. ეს არის პირველი რამ. არც მეორე საგანი იქნება ძნელი. ეს საგანი ამორჩევაა ახალგაზდა მოსწავლისა.

თვითოეულ ქალაქში ან მაზრაში ყოველ წრეს შეუძლია თვალყური ადევნოს მოსწავლე ყმაწვილებსა, მათ შრომის მოყვარეობას, ზნეობით ღირსებას, ბუნებითს მისწრაფებას, ნიჭს, ხასიათს, ტემპერამენტს და ამ გვარად ამოირჩიოს ღირსეული და საიმედო ახალგაზდა.

ამ გვარად ორი რამ არის მთავარი საქმე: პირველი ის, რომ დამხმარებელი წრე კაცებისა ბეჯითი ამსრულებელი იყოს თავის პირობის მიცემაზე, რომ განსაზღვრულ ხნის განმავლობაში ნაკისრი გადასახადი უეჭველად შეიტანოს. მეორე საგანია სიფრთხილით ამოირჩიოს აღსაზრდელი ახალგაზდა.

თუ ამ გვარი ჯგუფები შესდგება ჩვენში, მაშინ მოსალოდნელია, რომ როდისმე მარჯვე დრომაც ხელი მოუწყოს და მთელი საზოგადოებაც შესდგეს ქართველ სტუდენტების დასახმარებლად. ამისთანა საზოგადოებას მომზადებული, გამოკდილი, შეგნებული წევრები ეყოლება, ვიდრე იმას, ეხლავე რომ დავაფუძნოთ.

ახლავე რომ საზოგადოება დავაფუძნოთ, რის იმედი უნდა გვქონდეს დღევანდელ მდგომარეობაში? წევრები სხვა საზოგადოების წევრებსავით სახელით იქნებიან და სახრავად თითო ორ კონცერტს ან სპექტაკლს წამოსჩხერენ. შეაგროვებენ ორ სამ ათას მანეთს, რომელიც გაიფანტება და განაწილდება ას მთხოვნელში, რომელთაც იქნება არავინ არ ინკობდეს.

არა, ჯერ საზოგადოების დაარსებამდე უნდა კარგათ გავიწრთვნათ: ბეჯითობა, მედგრობა, მიცემულ პირობის ასრულება. დიახ კარგი თავის გაწრთვნა უნდა ვისწავლოთ და ეს ჩვენს მდგომარეობაში შინაურულად პატარა ჯგუფობით შეიძლება. ვნახოთ, რა ღონე გვაქვს, რა ბეჯითობა შეგვიძლია საქმისა და მერმე ვიფიქროთ, თუ მოსახერხებელია მრთელის საზოგადოების დაფუძნებაცა

არ ვიცი, ნათლად გამოვთქვი რაც მინდოდა, თუ არა?

ყველაზე უპირველესი ამ საქმეში ნამდვილი სურვილი კი არ არის, სურვილთან ღონე და ბეჯითად საქმის ასრულება არის საჭირო. მარტო გულის სურვილი კი არ არის, მასთან ბეჯითი, ნამდვილი ქისის მოხსნაა საჭირო, ფულის გამოღებაა. ვისაც დახმარება დანამდვილებით სწადიან, უნდა გაზომოს თავისი ჯიბის ავლადიდება და კეთილშობილ დაპირებულ პირობას არ გადუდგეს, სანამ ამორჩეული ახალგაზდა შეასრულებდეს სწავლას. თორემ დღეგრძელობა თქვენ, ათასი საზოგადოების პროექტების დაწერა შეიძლებოდეს და ათასი პირობის მიცემა. აკი გორის მაზრამ ერთხელ ნახევარი მილიონის გამოღება გაიწერა!.

ერთი რამ მოსახსენებელია ჩვენ სტუდენტებზე ლაპარაკის დროს. ყოველთვის უფრო გიმნაზიელები გვყავს მხედველობაში, რომელნიც რუსეთის უნივერსიტეტებში სწავლობენ. გვაკვიწყდება კი, რომ სტუდენტები სამზღვარ გარეთაც იპოვებიან, რომელთაც რუსეთის უნივერსიტეტი გაუთავებიათ, ან აქედამ პირდაპირ წასულან. ამასგარდა, არიან სემინარიაში დასრულებულნი. ისინი სულ დავიწყებული გვყვანან.

*) იხ. „ცნობის ფურც.“ № 1363.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარემოება კი ვიცით, რომ სემინარიებიდან მაღალ სასწავლებელში ძალიან ცოტანი შედიან, თუმცა კი მათი ბეჯითობა, შრომის მოყვარეობა, ნიჭი, მომზადება გიმნაზიელებისას თუ არ სჭარბობს, არ ჩამოუვარდება. სიღარიბით კი ისინი უფრო ღარიბნი არიან თავად-აზნაურის შვილებზე (გიმნაზიელებზე). სემინარიელები ბეჯითობით და ხასიათის შედგრობით შენიშნულნი არიან რუსეთშიაც და ჩვენშიაც. მეცნიერებაში, ლიტერატურაში და ცხოვრებაში მათ მომატებული პრაქტიკული შრომა გამოუჩენიათ, რადგანაც სიყრმითვე შეჩვეულნი არიან იმ ცხოველმყოფელ აზრს, რომ თვითოეულ ადამიანის ცხოვრების წაწევა დამყარებულია მის საკუთარ შრომაზე და არა სხვისაზე. საქართველოს ერის ერთს ძლიერ მშრომელ ელემენტს სემინარია გვაძლევს და ჩვენ კი ამაზე არაფერსა ვზრუნავთ. ამიტომ სემინარიელ მოზარდ თაობას დიდი ყურადღება უნდა მივაპყრათ და მათ დახმარებას დიდი ადგილი უნდა ჰქონდეს მაღალ სწავლის მიღებისათვის რუსეთში და ევროპაში.

მათგან ბევრნი არიან მაღალი სწავლის მწყურვალენი და უგზო-უკვლოდ დარჩენილნი. ისეთნიც კი მოიპოვებიან თურმე, რომ ზოგჯერ დამხმარებელს უარსაც ეუბნებიან, ვერ ვიკისრებთ ვალის გადახდასაო. თურმე ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ დამხმარებელს ვალდებულებაც არ უთხოვნია მოსწავლისაგან, მაგრამ მაინც უარი უთქვამს. აი სად არიან საძებნელი საიმედო ახალგაზდები.

და ვის შეუძლია ამგვარი მოძებნა? ნუ თუ რომელსამე საზოგადოებას? არა, მოხსენებულ პატარა ჯგუფს შეუძლია, პატარ-პატარა წრეს, რომელიც ჭეშმარიტი მოსურნეა მოსწავლე ახალგაზდობას დაეხმაროს ზნეობრივად და ნივთიერად.

უნდა გვახსოვდეს, რომ ამ საქმეში მარტო ნივთიერი დახმარება კი არ კმარა,— მორალურ დახმარებასაც დიდი ადგილი უნდა ეჭიროს.

ვისაც სჯერა მაღალი სწავლის მადლი, მისი წყურვილი უგრძვნია, უნახავს სიღარიბის მწარე დღეები სტუდენტობის დროს, იმათი ვალია ამ საქმეს ხელი მოჰკიდონ და ბეჯითად აასრულონ.

და ისინიც, ვინც ღალადებენ დახმარებისათვის, (მოსწავლე სტუდენტები) ვალდებულნი არიან კარგა ასწონონ საზოგადოების გულ-გრილობის მიზეზი. იფიქრონ, რომ ეს გულ-გრილობა მათ წინანდელ თაობათაგან წარმომდგარა და იმის შესაცვლელად მათ მომავალში, როდესაც აქ დაბრუნდებიან, კარგი მზრუნველობა და საქმის მოწყობა მოელით. იმათ უნდა აღზარდონ საზოგადოების აზრი, ზნეობა და არ გარყვნან ისე, როგორც მრავალ მობრძანებულებს გაურყვნიათ ჩვენი საზოგადოება თავისის არარაობით და საზოგადოებრივის ინტერესის უქონლობით.

ბ. უმიკაშვილი

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

23 იანვარი

ბელგრადი. ჟანდარმთა პოლკოვნიკს მარკოვიჩს, რომელსაც ჰბრალდებოდა უდიდებულესობის შეურაცყოფა, სასამართლომ მიუსაჯა საპატიმროში დატუსაღება ათი წლით.

ლონდონი. კიტჩენერი დეპეშით იტყობინება პრეტორიიდან, რომ ფრენჩმა, რომელმაც აღმოსავლეთისაკენ დაიწევინა ბურებს, წაართვა მათ 15 გირვანქიანი ზარბაზანი და გზაზე იპოვა უმთავრესი ნაწილები მეორე ზარბაზნისა, რომელიც ინგლისელთა ზარბაზნებისყუმბარებს გაეფუჭებინათ. კიტჩენერის შოტლანდიელთა პოლკმა იერიში მიიტანა ას ბურზე დორნრიკერის ხიდთან; ბურებმა უკან დაიწიეს; მათ მოუკლეს ერთი კაცი და დაატოვებინეს ცხენები, ურნები და სამხედრო მასალა. ინგლისელთ ორი კაცი დაუჭრეს. ხაიგი სდევნის სტეიტლერვილისაკენ ბურებს, რომელნიც მიდლანდში შევიდნენ. უკანასკნელ ბრძოლებში ინგლისელთ 16 კაცი მოუკლეს.

ვინძორი. უკანასკნელი აქტი დედოფლის დასაფლავების ცერემონიისა ღირსეულად იქნა გადახდილი. მეფე ედუარდი, იმპერატორი ვილჰელმი, ჰერცოგი კონნაუტისა, პორტუგალიისა და ბელგიის მეფენი და სხვა უავგუსტოესი პირნი ფეხით მიბრძანდნენ ალბერტის სალოცავამდინ, სადაც ესვენა დედოფლის კუბო. გრენადერები, რომელნიც დარაჯად იდგნენ კუბოსთან, მიესალმნენ მეფესა და გერმანიის იმპერატორს, რის შემდეგ კუბო გამოასვენეს სალოცავიდან, დაასვენეს ლაფეტზე და ზედ გადააფარეს თეთრი აბრეშუმის სუდარა. შემდეგ მუსიკამ დაუკრა სამგლოვიარო მარში და პროცესია დაიძრა. კუბოს უკან მიდიოდნენ მეფე, იმპერატორი და სხვა უავგუსტოესი პირები, შემდეგ—სასახლის მანდილოსნები; ფედოფალს მიჰყვებოდა თავისი პატარა შვილის შვილი ედუარდი. როდესაც 3 საათზე საგლოვიარო პროცესია გავიდა ბალიდან, უკანასკნელში მდგომმა არტილერიამ ზარბაზნები დაცალა; ზარებსარეკავდნენ; ქუჩების ორივე მხარეებზე ჯარები იყო გამწკრივებული; პროცესია გაემართა ფროგმორისაკენ, სადაც მოხდა დედოფლის გვამის დაკრძალვა. ვინჩესტერის ეპისკოპოსმა და ვინძორის დეკანმა წირვა გადაიხადეს. მეოთხე საათის ნახევარზე უმაღლესი პირები დაბრუნდნენ სასახლეში.

ბუდაპეშტი. ოფიციალურის ცნობებით, მოსავალს კარგი პირი უჩანს.

ლონდონი. მეფის ეპისტოლე „ზღვების იქით მცხოვრებ ჩემი ერის მიმართ“ ეხება ურიცხვ მანიფესტაციებს, რომელნიც მეფეს მოუვიდა იმპერიის ყველა ადგილებიდან, და იხსენიებს საყვარელ დედოფლის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ინგლისის ქვეშევრდომთა შორის მტკიცედ მიმდინარეობს პროგრესსი; იგონებს აგრეთვე იმას, რომ დედოფალი ამაყობდა იმ გმირებით, რომელნიც იბრძვიან იმპერიისათვის სამხრეთ-აფრიკაში და, ბოლოს, ამბობს, რომ ყოველთვის ექნება მტკიცე რწმენა ხალხის ერთგულებისა და ეს ერთგულება შეძლებას მისცემს მას—იშრომოს იმპერიის კეთილ-დღეობისა და დაცვისათვის.

კონსტანტინეპოლი. ერთი მჭედლის შეგირდი, რომელიც კასსაბის რკინის გზის საზოგადოებაში მსახურებს, ავად გახდა გუშინ სმირნაში შავი-ჭირით. მიღებულია საშუალებანი სენის გავრცელების წინააღმდეგ.

პარიზი. პალატა. ასსოციაციების შესახებ კანონპროექტის განხილვა ჯერ არ დასრულებულა. პალატამ შეიწყნარა მეორე მუხლი კანონისა, რომელიც თხოულობს, რომ რელიგიური ასსოციაციები მოვალენი იყვნენ მთავრობას შეატყობინონ დაარსების ამბავი.

სარატოვი. სარატოვზე გაიარა ალექსანდროვ-გაიდან წამოსულმა მისმა უმაღლესობამ ოლდენბურგის პრინცმა თავის ამალით; სადგურ რტიშჩევოზე პრინცი ორ დღეს დაჰყოფს.

გაბგა. დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრინა ელენე ვლადიმერის ასული და დიდი მთავარი ბორის ვლადიმერის ძე მობრძანდნენ აქ; სადგურზე მათ მიეგებენ დედოფლები, ჰერცოგი ჰენრიხი და რუსეთის საელჩოს წევრები.

კაპშტადტი. პიტ ბოტა ორი ათასი ბურით და შვიდი ზარბაზნით სმიტფილდიდან კაპის ახალშენში შევიდა.

ბუხარესტი. გაზეთები იტყობინებიან, რომ, რადგანაც პალატის ბიუროს დელეგატებსა და მთავრობის შუა ახალ გადასახადების შესახებ შეთანხმება ვერ მოხერხდა, სამინისტრო კრიზისი დადგაო. გაზეთები აკავშირებენ ამ გარემოებას და იმ ფაქტს, რომ მეფემ მოიწვია მინისტრთა კრება. მინისტრებმა განაცხადეს, რომ მეფის მხარე უჭირავთ ახალ გადასახადების საკითხში; მეორეს მხრით, შეთანხმებაც შესაძლებლად მიიჩნიეთ.

გაბგა. დაიწყო ქორწინების დღესასწაულები. დღეს ქალაქი გაჩირაღდნებულია; ხალხი სიამოვნებით ისმენდა კონცერტს სასახლის მოედანზე. დედოფალმა, რომელსაც თან ახლდნენ საქმრო და დედოფალი-დედა, ეტლით გაისეირნა გაჩირაღდნებულ ქუჩებში. ხალხი აღტაცებით ეგებებოდა დედოფალს.

პარიზი. მინისტრთა კრებაზე დელკასემ განაცხადა, რომ ელჩებს დღეს ექნებათ პეკინში თათბირი ჩინეთის რწმუნებულებთან საერთო ნოტის მოთხოვნათა აღსრულების შესახებ. მინისტრმა დაუმატა, რომ ფრანგების რკინის გზაზე პეკინსა და ხანკოუს შუა, რომელიც 135 კილომეტრის მანძილზედ ჩინელებმა დაანგრიეს, მიმოსვლა აღდგენილ იქმნაო.

(საღამოს დეპეშა იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

✻ ლონდონიდან იწერებიან, ვითომ ოითონ კიტჩენერს უთქვამს, რომ თუ ასე წავიდა საქმე, შეიძლება ომმა ხუთი წელიწადიც გასტანოსო.

✻ როგორც ვიცით, ძალიან ბევრი ინგლისელი თანაუგრძნობს ბურებს, თანაუგრძნობს ეგრეთვე ბევრი ჟურნალი და გაზეთიც. ლონდონმა კიტჩენერმა აგრძალა სამხრეთ-აფრიკაში სამი ინგლისური. ბურების მომხრე გაზეთის გაყიდვა: ლაბუშერის გაზეთი «ტრესტ», სტედის გაზეთი «რევიუ ოფ რევიუ» და «ჟურნალ დე რეინოლდს».

ამ უკანასკნელი გაზეთის რედაქტორი განცხადებს ამ აგრძალვის შესახებ ამბობს:

«ინგლისის მთავრობამ გააქრო გაზეთები ინდოეთში, შარშან რამდენჯერმე აგრძალა ირლანდიაში ერთვნული და რესპუბლიკანური გაზეთები. ინგლისის გაზეთები კი ხმას არ იღებენ ამისთანა უკანონო აგრძალვაზედ. ჩვენმა მთავრობამ აგრძალა ნატალისა და კაპის ახალშენის გაზეთები და ეხლა თავისი კეთილი ყურადღების დირსად რამდენიმე ინგლისური გაზეთებიც სცნო. გვგონია, რომ ჩვენ სულ ახლად მოგვიხდება ბრძოლა გაზეთების თავისუფლების მოსაპოვებლად. ჩვენ მივაქცევთ უცხოელების ყურადღებას იმ საშინელ მდგომარეობაზედ, რომელშიაც ეხლა ინგლისი იმეოფება. ინგლისს ახლა კი თავიმოაქვს თავისის სიუკარულით თავისუფლებისადმი, მაგრამ რაწამს გაჯირვება აგდება, ისიც ისევე მტარვალურად იქცევა, როგორც სხვა სახელმწიფოები ინგლისელ ჟურნალისტებს არასოდეს ხმა არ ამოუღია წინააღმდეგ გაზეთების შეკვიწროებისა. უმეტეს ნაწილად ჟურნალისტები არიან მორჩილი მსახურები გაზეთების მდიდარი პატრონებისა და ჩვეულებრივ იმ აზრებს ჭქადაგებენ, რომელთაც იმათი პატრონები ადიარებენ. ამ ჟურნალისტების და ამათი გაზეთების იმედი ჩვენ სრულებით არა გვაქვს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თითონ ინგლისის ერი ეცდება და მოახერხებს კიდეც, რომ დაიცვას თავისი უფლება; სწორედ ამ ერს მივმართავთ ჩვენცა და ვსთხოვთ შველას»

✻ ფრეიბურგიდან იწერებიან შემდეგს: «მთავრობამ მოკრიბა ამას წინად კომბერლეიში პოლიციის საგანგებო რაზმები, ნაცვლად პოლიციისა, რომელიც სხვა ადგილებში გაიგზავნა. ამ საგანგებო ცხენოსანი პოლიციის ჯარის კაცნი ძალიან კარგად იყვნენ შეიარაღებულნი ა მოიმეტებულს ჯამაგირსაც იღებდნენ.

ამ პოლიციის პატარა რაზმს 20 კაცის, წავიდა ფრეიბურგიდან დეკონდანში დილით, 21 იანვარს. ბურები ფრეიბურგიდანვე აჭყვნენ ამ რაზმს, მაგრამ ვერც ერთმა პოლიციელმა ვერ გაიგო ეს გარემოება. შუადღისას ჯარის კაცებმა ერთ ადგილას დაისვენეს. როცა 4 საათზე იმათ დაპირეს ისევ გზას შესდგომოდნენ, მოვიდა ერთი ცხენოსანი ბური და გამოუცხადათ, რომ თქვენ ყველა მხრიდან ბურები გიხვევიან და უსათუოდ უნდა დაგვნებდეთო. მთელი რაზმი დაუფიქრებლივ, თოფის გასროლველად, დაჭნებდა ბურებს, თუმცა ის ვაკე, სწორე ადგილს იმეოფებოდა და შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა. პოლიციელებმა სიტყვის უფლებაც დაანებეს ბურებს ცხენები, ეარაღები, ოთეები, ხამხედრო სურსათი და ფულით-დარუსტენეფერეი ბურგში.

✻ ფრანგულ გაზეთ «ეოლოსს» ცნობილი, ლისტენბურგში, რომელიც მეფკანგიდან 50 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, მოელი მეცხოვნე რაზმი ინგლისელი ჯარისა ბურებს დაჭებია. დეკეტი, რომელიც ამ ჟამად სტანდერტონის ახლო იმეოფება, ანგრევს ნატალიდან პრეტორიაში მიმავალ რკინის გზას. ეს ერთად ერთი რკინის გზაა, რომლის საშუალებითაც კიტჩენერის ჯარს სურსათი მოსდიოდა ზღვის მხრიდან. ეხლა ინგლისელებს ბევრი ფიქრი დასჭირდებათ იმაზედ, თუ საიდანდა ზიდონ სურსათი.

✻ როგორც ვიცით, ამას წინათ ბურებმა კინადამ კიტჩენერი ტყვედ არ წაიყვანეს ბალმორალთან, სადაც იმათ ასეთქეს მატარებელი, რომლის უკან თითონ კიტჩენერი მიდიოდა. გაზეთები იუწყებიან, რომ მთავარ სარდალი ერთხელ კიდევ, ამ რამდენიმე თვის წინად, ცოტას გასწყდა ხელში არ ჩაუვარდათ ბურებსაო. კიტჩენერი მატარებლით მიდენილა, გზაში დადგებია და რამდენიმე საათით დამდგარა მინდორზედ დასასვენებლად. ბურები ისე ძლიერად დასცემიან მატარებელს, რომ ინგლისელ დარაჯებს ვერ გაუძღვიათ იმით იერიშისათვის, კიტჩენერი იძულებული ეოფილა ხელად ცხენზედ შემჯდარიეო და სიჩქაროთ გაქცეულიეო. მთავარსარდალს იმ გარემოებამაც უშველა, რომ თოფის ხმაზედ მალე ინგლისელი რაზმი მოეშველა და ბურები შეაუენა.

✻ ბერნის საერთაშორისო საზავო კომიტეტმა გაუგზავნა ინგლისის ახალ მეფეს ედუარდ VII დეპეშა, რომელშიაც სამძიმარი მოახსენა დედოფალ ვიქტორიის გარდაცვალების გამო და მხურვალე სურვილი გამოაცხადა, რომ ახალი მეფის ტახტზედ ასვლას მოჰყვეს მშვიდობიანობის ხანა და მოსპობილ იქმნას სისხლის დვრა სამხრეთ-აფრიკაში.

✻ მშვიდობიანობის დამყარების ცნობილ მოამხრეს ბარონესსა ბერტა სუტნერს ერთ ვენურ გაზეთში წერილით მხურვალე პროტესტი გამოუცხადებია წინააღმდეგ ინგლისელების მტარვალური ქცევისა სამხრეთ-აფრიკაში. ამავე წერილში ნაამბობია, რომ ზავის საერთაშორისო კავშირმა, რომლის ზნეობრივ მეთაურად იყო ინგლისელი ფილოსოფოსი გერბერტ სპენსერი, მიჰმართა ეკელა სახელმწიფოებს, რომელთაც გააგის საზავო კონვენციაზედ ხელი მოაწერეს, და სთხოვა, რომ სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებს დაღუპვამდე ნუ მიიყვანთო.

✻ ინგლისურ გაზეთს «სტანდარდს» ატყობინებენ კაპშტადტიდან შემდეგს: «ერთ კორესპონდენტს საუბარი ჰქონია კაპის პარლამენტის ერთ-ერთ დეპუტატთან. ამ უკანასკნელს უთქვამს, რომ ამას წინად კაპის ახალ-შენში ბევრნი მოვიდნენ ორანჟეს და ტრანსვაალის რესპუბლიკებიდან და მხნედ მოქმედებდნენ, რათა ხალხი აეშალათ ინგლისელების წინააღმდეგ; ყველა ოლქებში ახდენდნენ საიდუმლო კრებებს და აწყობდნენ, თუ როგორ დაეხმარნენ ბურების შემოსევას. ბურებმა უფრო მეტი მომხრე მოიპოვეს აგდილობრივ ჭოლანდიელებში, სანამ ეს აქამდე ეგონათ.»

✻ კაპშტადტიდან ლონდონელ გაზეთებს შეატყობინეს, რომ ტყვე ბურებმა გრინპოინტში გლოვის ნიშნად დედოფალ ვიქტორიას გარდაცვალების გამო აიკრძალეს ყოველი გართობა გარდაცვალებულის დაკრძალვამდე. გაზეთი «დეილი ნიუსი»-ის აზრით, ბურების ასეთი მოქცევა მეტად კეთილ-შობილური და რაინდულია. ბურებისთვის ინგლისის დედოფალი არის სიმბოლო იმ ქვეყნისა, რომელთანაც ისინი სასიკვდილოთ იბრძვიან. მიუხედავად ამისა, ესეთი პატივი სცეს დედოფალს. ამით ბურებმა დასტკიცეს, რომ იმათთან ყოველთვის შეიძლება საპატიო ზავის შეკვრა, რომ ისინი მტკიცედ დაიცავენ ამ ზავის პირობებს და პირ-ნათლად შასრულებენ მოცემულ სიტყვას. ამიტომ, ამბობს ხსენებული ინგლისური გაზეთი, ამისთანა კეთილ-შობილ ხალხთან, როგორიც ბურები არიან, ზავის ჩამოგდება უფრო ადვილია, სინამ სხვა ერებთანა.

✻ როგორც ვიცით, ბურების გენერლები—ბოთა და დეფეტი დაეცნენ დელაგოაში მიმავალ რკინის გზას. რამდენიმე უცხოელი კაზეთი ამტკიცებს, რომ ამით დეფეტმა და ბოტამ ჰორტუგალიის ნეიტრალიტეტი დაარღვიესო. კრიუგერის მახლობელი ბურები, წინააღმდეგ ამ გაზეთებისა, ამტკიცებენ, რომ ხსენებულ გენერლებს სულაც არ დაურღვევიათ ჰორტუგალიის ნეიტრალიტეტი, რადგანაც ეს რკინის-გზა მთლად ინგლისელებს ეკუთვნითო.

ბურებმა, რასაკვირველია, კარგად იციან, თუ რას წარმოადგენს ნამდვილად ჰორტუგალიის ნეიტრალიტეტი. მიუხედავად ამისა, ისინი ჰაეთვს სცემენ ამ ტეუილ ნეიტრალიტეტს, რომ ლიც იმათ უფრო ნაკლებ უშლის ხელს, ვინემ ინგლისელებს.

როგორც გაზეთები იუწყებიან, არა თუ დელაგოაში მიმავალი რკინის-გზა, თვით დელაგოას ნავთ-სადგურის შენობებიც კი სულ მთლად ინგლისელებს უკიდნიათ. აქედან ცხადად სჩანს, რომ ბურების აზრი ჰორტუგალიის ნეიტრალიტეტზედ სრულიად ჭეშმარიტი ეოფილა.

ახალი ამბავი

✦ სამშაბათს, 23 იანვარს, საღამოზე, სხდომა ჰქონდა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომელზედაც დაესწრნენ აგრეთვე საზოგადოების წევრები. ეს საღამო საბჭომ უმთავრესად მოანდომა მომავალ სასოფლო სამრეწველო გამოფენის საქმეების მომწყობელ-მმართველ კომიტეტის წევრების არჩევანს. გამოფენის კამისარად არჩეულ იქმნა აგრონომი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ხოლო მის თანაშემწეებად ა. ს. ფირალოვი და ტ. ა. ენფენჯიანცი; გამოფენის განყოფილებების გამგეებად ამორჩეულ იქმნენ: მიწად-მოქმედების—ვ. ი. გეევსკი, მეღვინეობისა—პ. ი. ყაფიანი; პირუტყვთა მომშენებელ და მერძეველობის განყოფილებისა—ა. ა. ქალანთარი; მიწის სამუშაო იარაღების განყოფილებისა—ნ. პ. ტარატინოვი; სასტატისტიკო განყოფილებისა—სტ. ვლ. გლასეკი; სამოსწავლო-სამეცნიერო განყოფილებისა გ. ი. რადე და ხელოვნების განყოფილების გამგედ ფ. ი. ხადოროვიჩი. სამეურნეო საბჭომ გუშინვე მიჰმართა აღნიშნულ პირთ, ეხლავე შეუდგნენ თავიანთ განყოფილებების გეგმის შედგენას, რომელიც უნდა წარუდგინონ ახლო მომავალში საბჭოს განსახილველად.

✦ პეტერბურგიდან იტყობინებიან, რომ მიწად-მოქმედების სამინისტროში აღძრულია კითხვა შესახებ მიწის მზომელთა შტატის გადიდებისა კავკასიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოებში, რადგან ეხლანდელი შტატი ვერ ასდის ყველა სამუშაოს და ბევრი საჭიროა საქმე გვიანდება.

✦ ტფილისის ქალაქის სამხედრო საქმეთა საკრებულო შეუდგა იმ პირების სიის შედგენას, რომელთაც წელს უნდა მოიხადონ სამხედრო ბეგარა. იმ პირებმა, რომელთაც რაიმე შეღვათის უფლება აქვთ, უნდა წარმოუდგინონ საჭირო საბუთები საკრებულოს პირველ მარტამდინ.

✦ დღემდე სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში 84 კაცს შემოუტანია განცხადება, რათა მათ მიეზომოს ბორჩალოს მაზრაში ადგილები მადნების დასამუშავებლად.

✦ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს მოხელეებისაგან შემდგარი კომისია არჩევს იმ პირების განცხადებებს, რომელთაც ჰსურთ ჩატმის (შირაქი) ნავთიანი ადგილების დამუშავება. გასაცემია ამ ადგილში სულ 242 ნაჭერი მიწა.

✦ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 25 იანვარს, ტფილისის სათავადაზნაურო თეატრში ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის არტისტებისაგან ჩვენი ნიჭიერი არტისტის ბ-ნ ალექსეევ-მესხიშვილის მონაწილეობით ბ-ნ კანდელაკისა და გამყრელიძის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება პრემიით დაჯილდოვებული ახალი ხუთ მოქმედებიანი დრამა „იანიჩარი“ დავით ნახუცრიშვილისა.

✦ ამ დღეებში კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა მოსწერა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს შეატყობინოს, თუ რა ავადმყოფობისაგან გაფუჭდა საბაღოსნო სკოლის ბაღში ხეხილები. როგორც აგრონომის საკოვის გამოკვლევითა სჩანს, ეს ხეების ფესვების გამანადგურებელი ავადმყოფობა ყოფილა ერთგვარი სოკო, ესრედ წოდებული „Demotophora necatrias“. კომიტეტის აზრით, რადგანაც უფრო და უფრო ვრცელდება ეს ავადმყოფობა, ეხლავე უნდა შეუდგნენ მისს მოსპობას. ყველა დაავადებული ხეები უნდა მოთხარონ ძირიანად და მოსპონ. ხოლო იმ ადგილებს, საიდანაც ხეები იქმნა დათხრილი, უნდა დეზინფექცია უყონ გოგირდის მჟავბადით და შემდეგ ნავთით უნდა მოასხან. ამ ადგილებში უნდა შესწყვიტონ ხეების დარგვა 2—3 წლის განმავლობაში, რომლის დროსაც იქ უნდა ითესებოდეს ძირ ნაყოფიანი მცენარეები, მაგალ., კართობილი და სხვანი. ეს წამლობა უფრო მაშინ მიაღწევს მიზანს, თუ დაავადებული ადგილები გაშრობილ დაწრეტილი იქმნება გარეშემო არხის შემოვლებით. საფილოქსერო კომიტეტს აღნიშნულ ავადმყოფობასთან საბრძოლველად ცდა მიუნდვია ექსპერტ-მიკოლოგის ბ-ნ სპეშნევისათვის.

✦ „ნოვ. ობზ.“-ს დეპეშით ატყობინებენ ბაქოდან: „21 იანვარს, საღამოს შვიდ საათზე, „თეთრ ქალაქში“ ცეცხლი გაუჩნდა შენობას, სადაც 5 მილიონი ფუთი მაზუთი იყო. 22 იანვარს, საღამოს შვიდ საათზე, მაზუთმა გამოარღვია შენობა, დაიწვა ბევრი სახლი, ეკკლესია, ტელეგრაფის მავთულები კრასნოვოდსკის კაბელისა. დღეს, 23 იანვარს, ცეცხლი თანდათან ძლიერდება. ნახეს 8 მკვდარი, 20-40 დამწვარი“.

✦ თავ. ა.მ. არღუთინსკის წინადადებით, ტფილისის გამგეობის მოხელეთაგან შესდგა კომისია ქალაქის განათების საქმის დაწვრილებით რევიზიისათვის. რევიზია შეეხება როგორც გასანათებელ მასალას, ისე საქმის წარმოებასაც.

✦ გუშინ, 24 იანვარს, სხდომა ჰქონდა ტფილისის ქალაქის გამგეობას. ამ სხდომაზედ გამგეობის წევრმა შესტაკოვმა აღძრა კითხვა მესამე საობლიგაციო სესხის ტირაჟის შესახებ 1-ლ თებერვალს. გამგეობამ დაადგინა: შემდეგ ობლიგაციების მიღებისა, ფასიან ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციიდან, გადასცენ ისისი შესანახად სახაზინო პალატას; სთხოვონ საბჭოს—ამოირჩიოს ორი წარმომადგენელი ტირაჟზე დასასწრებლად და მოახდინონ ტირაჟი 8000 მანეთისა, თანახმად არსებულის წესისა.

✦ დღეს, 25 იანვარს, ტფილისის ქალაქის სადგომში სხდომა ექმნება ქალაქის სასწავლებებთა გამგე-კომისიას, რომელსაც განსახილველად აქვს 8 მიმდინარე საქმე.

✦ სამშაბათს, 23 იანვარს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ზუგდიდის მაზრის, სოფელ ჩხორცხუს მცხოვ. სპირიდონ ბუხუევის ძის ახალაიასი, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ იგი 1899 წლის 19 აპრილს ალექსი პაცაციასა, სვიმონ ქაჯაიასა, გიგო ლუკავასა, დიმიტრი ცოცანავასა და სხვებთან ერთად სოხუმის ოლქის სოფ. კელასურში შეუვარდა სახლში მინადორა გოგუას ნათესავებს იმ განზრახვით, რომ მოეტაცნა მინადორა და ცოლად შეერთო, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა იმის გამო, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს რევოლვერის სროლით და უკანვე დააბრუნეს. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი: ახალაია, ლუკავა, ქაჯაია, ციცანავა, პაცაცია და მიესაჯათ თითოს ორი თვის ვადით ციხეში დაპატიმრება, ხოლო ნესტორ ხახუას ძე კუბეციას ზოგიერთ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევით მიესაჯა ასტრახანის გუბერნიაში გადასახლება; გამართლებულ იქმნა ივანე საჯაია.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ ტყიბულიდან დეპეშით გვატყობინებენ, რომ იქ 23 იანვარს, დილის 11 საათზედ, ნახშირის მაღაროებიდგან სადგურში შემოსასვლელ ისართან ლიანდაგიდგან გადასცდნენ 7 ვაგონი, რომელთაგან 6 ძალიან დაზიანდა. დაშავდნენ კანდუქტორი კონსტანტინე იაესკი, იოსებ კაპუსტინსკი, ნესტორ სოკოლოვსკი და ქვანახშირის მაღაროს მუშა გლეხი ნიკიფორე ცირლაძე. დაშავებულნი ქუთაისის ქსენონში გაგზავნეს.

✦ ფინანსთა მინისტრმა შეატყობინა უმართებელს სენატს, რომ უმაღლესად დამტკიცებული საღერბო გადასახადის ახალი წესდება ძალაში შევა 1901 წლის 1-ლ მარტიდან.

✦ გუშინ წინ ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფილისის მცხოვრების სოდომონ კუჭიხაიისა, რომელსაც ბრალად ედებოდა, რომ 1900 წლის 17 ივლისს რიეის ქუჩაზედ, ცხენის რკინის გზის ვაგონში, მან ჩამოაგდო სათი ფალადოვს და გაიქცა და, როდესაც სათის პატრონი გამოეკიდა კუჭიხიძეს დასაჭერად, კუჭუხიძემ სათი გადაგდო, ამოიდო დანა და პალადოვს დაჭრა. მოუნდომა, მაგრამ პალადოვი კანზე გაუსტა; ამ დროს მას წაეშველა იქვე მდგომი ბაგრატ როსტომაშვილი და დაიჭირა კუჭუხიძე. კუჭუხიძეს რომ თავი გამოეძვრინა, როსტომაშვილი ორგან დასჭრა დანით და გაიქცა. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო კუჭუხიძე და გარდაუწყვიტა ეოველივე უფლება უპირატესობათა ჩამორთმევა და 4 წლით კატორღაში გაგზავნა.

✦ გუშინ წინ პოლიციის მე-7 ნაწილში მამეკანთ სოფელში ერთი საცოდავობა მახდა; ამ სოფელში მცხოვრები ანტუაშვილის მეუღლე ანნა ანტუაშვილისა სიარეცხის რეცხის დროს შინ მარტო დაუტოვებია ოთხი წლის პატარა კაცი ვანო, რომელიც იქვე გაგარკვლებულ ფეჩზედ მიდებულა, რის გამოც ისე შემოსწვია საწოლს ხორცი, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ უკვე გარდაიცვალა.

✦ ამ ათი წლის წინეთ სოფ. ახალქალაქში (გორის მაზრა) მცხოვრებ ნ—ის შვილი, ასე ოცდაათ წლისა, რომელსაც თვალები სტკიოდა, სადღაც გადავარდა. გაიდა რამდენიმე წელიწადი და ახალქალაქში ხსენებულ ნ—თან მოვიდა ახალგაზრა კაცი, რომელიც სახეთ ცოტათი დაკარგულ შვილსა ჰგავდა, და გამოუცხადა მე შენი შვილი ვარ, თვალები მოიერჩინე და დავბრუნდიო. ჯერ ახალმოსულს ეჭვის თვალით უყურებდნენ, მაგრამ ბოლოს დაუჯერეს, რადგანაც უკეთესფერი ოჯახის გარემოება კარგად იცოდა და მიიღეს, როგორც ნამდვილი შვილი. ამ მოკლე ხანში ცოლიც კი შერთეს. წარმოიდგინეთ მამის გაკვირვება, როცა მას ნამდვილი მისი შვილი ამ ბოლო დროს ეტაპით მოუვიდა სახლში! მიტუფარა ამ დროს ტფილისში იყო წამოსული და ეხლა სადღაც მიიმალა. პოლიცია მას ეძებს, მაგრამ აქამდე ვერ მიუგნია. როგორც ნამდვილი შვილის ნაამბობიდან სჩანს მას ჰყოლია ერთი მეგობარი, რომელსაც მან დაწვრილებით გააგებინა თავის ოჯახის გარემოება და რომელსაც უსარგებლია ამ ცოდნით ნ—ის ოჯახის მოსატეუელებლად.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ ვარვარინოსა და ხაშურს შუა 23 იანვარს, საღამოს 8 საათზედ, გასქდა ნავთის მილი. როგორც გვატყობინებენ 15,000 ფუთამდე ნავთი დაღვრილა.

✦ სადგურ მცხეთიდგან გვატყობინებენ, რომ იქ გუშინ წინ, 23 იანვარს, სახალხო მატარებლის № 3 დგომის დროს უეცრად გარდაცვლილა მგზავრი ცქიტიშვილი.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

Г. М. Тумановъ. Характеристики и воспоминанія. Тифлисъ, 1901 г.

ჩვენი გონება იმდენად დაშინებულია, ისეთს სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი, რომ ვერასფრით ვერ წარმოგვიდენია, თუ ქართულს ცხოვრებას და ლიტერატურას შეუძლიან რაიმე თავ-მოსაწონისა და თავ-გამოსაჩენის შექმნა. ამიტომაც სიცილადაც არა ჰყოფნის ეკვით ალსავსე ჩვენ საზოგადოებას, თუ ჩვენს ლიტერატურაში რამე ხეირიანი მაგალითი აღნიშნე.

მით უფრო სასიამოვნოდ [illegible] მორე აღნიშნულ [illegible] ეს წიგნი ეკუთვნის თ. გ. თუმანიშვილის კალამს. თ. გ. თუმანიშვილი ერთ დროს მთლად ქართულ ლიტერატურას ემსახურებოდა. დრონი იცვალნენ და თ. თუმანიშვილმაც ვერ გაუძლო დროთა ცვლას. დუმც ეს კი სამუდამოთ შერჩა, რომ ჩვენის ცხოვრების საუკეთესო მოვლენის მომხრე იყო ყოველთვის და ცულის მეომარი (მაგ. იმერეთ-ამერეთის—„კალისტრატიზმის“), რაიცა ნამდვილმა ჩვენმა ლიტერატურებმაც ვერ შესძლეს... თ. გ. თუმანიშვილი მეტად გულ-თბილად, დიდის თანაგრძნობით ეკიდება ჩვენს მწერლებს და ხშირად მათ არსებით თვისებებს აღნიშნავს ხოლმე. თ. თუმანიშვილს უკან არ დაუხევია და გულწრფელის გაბედულობით აღიარებს, რომ თ. ბარათაშვილისთანა სახელოვანი წარმომადგენელი იშვიათად ჰყოლია განათლებული ქვეყნების პოეზიასაო“. „ბარათაშვილის პოეზია—საუცხოვო ჰიმნია, ჰარმონიით აღსავსე ღვთიური ჰიმნი, მაგრამ თანაც ჰიმნი სამგლოვიარო სევდითა და კაეშნით მოცულიო“. თ. თუმანიშვილის წერილები, ალ. ყაზბეგის, რ. ერისთვის, თ. ვახ. ორბელიანის, ე. ნინოშვილის, ზურ. ანტონოვის, ლავ. არდაზიანისა და გ. წერეთლის შესახებ აღსავსენი არიან სიყვარულითა და თანაგრძნობით ამ მწერლებთადმი და ზოგიერთ მათ შესახებ იძლევა საყურადღებო ბიოგრაფილ ფაქტებს. თ. თუმანიშვილის მადლობელი უნდა ვიყვნეთ იმისთვის, რომ მართლაც პირველად აღნიშნა განსვ. ლავ. არდაზიანის*) სახელი და მნიშვნელობა ქართული ლიტერატურისათვის. თითქმის სამართლიანად ამბობს თ. თუმანიშვილი, რომ ლავ. არდაზიანი იყოო „ქართული რეალურის რომანის მამამთავარი“, თითქმის, მხოლოდ იმიტომ, რომ თუ ილ. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი“ 1861 წ. დაიწერა, სამაგიეროდ „გლახის ნაამბობი“ დაისტამბა 1859-ში. ამიტომ ქართული რეალიზმის მამამთავარი რჩება, ერთის მხრით ილია ჭავჭავაძე, მეორეს მხრით, გ. ერისთავი. ლ. არდაზიანი კი ერისთავის ტიპის რეალისტია. ვერ ვეთანხმებით თ. თუმანიშვილს ვერც იმაში, რომ ალ. ყაზბეგი „ნაროდნიკი“, ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან, „ტეტიათა მოტრფიალე“ იყოს, რადგან ამ ჯურის მწერლებს აზრადა ჰქონდათ გლეხის უმწიკვლო პირადობა დაეყენებინათ სხვა წოდების გარყვნილების კონტრასტად. ალ. ყაზბეგი უფრო რომანტიკოს-ფსიხოლოგია, რომლის აზრი იყო ეჩვენებინა სწორედ ის, რაზედაც თ. თუმანიშვილიც უთითებს, ე. ი., ეჩვენებინა თავგანწირული გმირობა, პოეზიითა და სიყვარულით აღსაისე ცხოვრება იმ მთის ხალხისა, რომელიც გახდა მსხვერპლი მისის ცხოვრების ვერ შემგნები პირების სასტიკისა და უკაცური ქცევისა. ვერ ვეთანხმებით თ. თუმანიშვილს ვერც გ. წერეთლის შესახებ. ბოლო წლებში მან ჩაიდინა ბევრი შეცდომა საზოგადო საქმეებში და თავას გაზეთში მფარველობას უწევდა ჩვენის ცხოვრების მავნე მიმართულებას, რომელსაც თვით ბ. თუმანიშვილი ებრძოდა.

ბ. ს.

პროვინცია

ძ. ძათაისი. ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენმა ეკონომიურად დაქვეითებულმა სოფელმა მეაბრეშუმეობას მიჰყო ხელი. ძველად ჩვენი ქვეყანა განთქმული ეოფილა მეაბრეშუმეობით. სანამ საზღვარ-კარეთიდან შემოვიდოდა ჩვენში აბრეშუმის ქსოვილები, მანამდის იმდენი

*) არდაზიანის რომანი სულ პირველად საფუძვლიანად გაარჩია სტ. ჩოლაშვილმა „იმედში“.

ებრეშუმი მოჭყავდათ, რომ ჭიოტნიდან ძაფადაც, დარაიებსა, მოსახურავებსა, სხვათა ჩექსოვადაც და ამასთანავე ბეგრსაც ჭიედნენ ძაფად ამოდებულს. მას შემდეგ კი, რაც რუსეთის თუ დასავლეთ ევროპის ფარჩა-ებრეშუმმა ფეხი შემოდგა ჩვენში, დარაიების ქსოვამაც იკლო, თითქმის სრულიად გადავარდა. ამიტომ ებრეშუმი მოჭყავდათ მხოლოდ ასე სხვათა შორის: თესლს თვითონ ამზადებდნენ, დაიჯენდნენ ჭიას, «თუ ივარგებს — ხომ კარგი, თუ არა და — იმის ჯავრსაც გავუძღებთ; თესლი არ გვიყიდია და ფურცელია». ამასთან მეებრეშუმეობას მისდევდნენ მხოლოდ გლეხის დედა-კაცები, მამა-კაცები კი გლეხებშიაც არ კადრულობდნენ. უკანასკნელ ხანებში გაჭირვებამ ისევ მოგვაკიდებინა ხელი ამ ჩვენგან ათვალწუნებულ ხელობისათვის. მხოლოდ ესლა უველამ იკადრა მისი ხელის მოკიდება წოდებისა და სქესის განურჩევლად (და სწორედ სულზედაც მოგვესწრო). ამასთან ჩვენმა ბარამ ბაზარი მოიპოვა საზღვარ-გარედ და ფასმაც ძლიერ აიწია, მაგრამ ჩვენ მაინც ძლიერ ნაკლებად ვწვდებით ამ ბაზარს: შუაში ჩაგვდგომიან ჩარჩ-ვაჭრები და ნახევარ ფასად გვართმევენ ხელიდან მოსავალს. თუმცა კი არსებობს ჩვენში ორი თუ სამი ამხანაგობა (ერთი ახალია), რომელთა მიზანია მწარმოებელთ დახმარება გაუწიონ სადა თესლის მოწოდებით და ბარკის რიგიან ფასებში გასაღებით, მაგრამ მათ - იმდენი საკუთარი თანხა არა აქვთ ჯერ-ჯერობით და არც იმდენი ნდობა, რომ ბარკის მთელი მოსავალი თვითონ იყიდონ. ამასთან სოფლელთაც ძლიერ ეანელებინ 20—30 ვერსზე ბარკის ზიდვა. ამას კიდევ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ამხანაგობა ბარკის მიღებისათანავე არ იძლევა მთელ ფასს, ხოდა სოფლელს კი ის ურჩევნიან მთელი ფასი ერთად მიიღონ, «ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი სჯობიაო», — ამბობს ის. აქ მას წინ ედგება «ნათლია», რომელიც სახლშივე ეახლება და «მადლისთვის» ერთიანად აძლევს ფულს, თუმცა ფუთზე ერთ სამიოდე გირვანქას მაინც აცლიან და მაზანდაზედაც დააკლებს.

უფულობისავე მიზეზით ჩვენ არ შეგვიძლიან შემოწმებული კარგი თესლი ვიყიდოთ ამხანაგობისაგან (არა წევრს ამხანაგობა *) ნისიად არ აძლევს თესლს). აქაც გვიჩნდება ჩვენი «კეთილის მეოცეული ნათლია» და თავისს უვარგისს თესლს გვაჩეჩებს ნისიად. ზოგიერთნი ისეთი გულ-კეთილებიც არიან, რომ «არ უნდათ საწყალი კაცის ზარალი» და მოსავლის მესამედს, ხანდისან მეოთხედსაც სჯერდებიან. ამგვარად ერთ კოლოფ თესლში, რომელიც თვითონ 1 მ.ნეთზე მეტი არ უჯდება, ჩარჩი დებულობს 6—13 მანეთს, ხან კიდევ მეტსაც. ამის დასამტკიცებელ ფაქტსაც აქ მოვიყვან.

ეს ორი წელიწადია, ებრეშუმობის დროს ქუთაისში და სხვა ადგილებშიაც იხსნება საზოგადო სასწორები, რომელთა მიზანია მეებრეშუმენი გამოიხსნან წონაში მოტეუებისაგან და აგრეთვე აცნობონ მათ სხვა-და-სხვა ადგილის მაზანდები. თუმცა ამ სასწორებმა ჯერ-ჯერობით მიზანს ვერ მიაღწიეს სისრულით, მაგრამ სარგებლობა მაინც დიდი მოიტანეს.

სოფლის რომელიღაც ფერმას გამოუგზავნია ერთი აქაური ქალაქის მსაჯულისათვის **) (არ. ბ. ასრიბეკოვისათვის, ეროვნობით სომეხია) გასასყიდად რამდენიმე კოლოფი თესლი, ამასაც ზოგი გაუყიდია და დარჩენია ბოლოს ორასი კოლოფი, რომელიც თითქმის სანახევროდ გამოსული ეოფილიეო. ამიტომ მუშტარი ვერ ეშოვნა. ბოლოს ადმოჩენილა ერთი ვიღაც ამი რაღაცი, რომელსაც უყიდნია. თესლი ორ-ოლ ბაზად კოლოფი (ძმა ძმისთვის ამ დღისთვისო, ეგ არის რადა?) ამ უკანასკნელს აუწევია ეგ ნახევრად გამოსული თესლი და მოუქუსლავს ერთ მეავარდნილ სოფლისაგან; იქ დედა-კაცებისთვის დაურიგებია თესლი იმ ხერხით, რომ მოსავლის მეოთხედი მიეცათ მ.სთვის.

18 ივნისში, როდესაც მე თვით ვიყავი მორიგ მეთვალ-ყურედ სასწორზე, ვხედავ, რომ მობძანდება ცხენით ბ-ნი ამირადოვი, მას უკან მოსდევს ბარკიანი კოდრით მხრზე მოხუცი ქვრივი დედაკაცი. აწონეთ ბარკი და მოვიდა 17 ფუთი და 33 1/8 გირვანქა; იმ დღეს ფუთის ბარკი იყიდებოდა 15 მან. 60 კაპ., ასე რომ ის ბარკი გაიყიდა 28 მან. 52 კაპ., (1/8 გირვანქა არ უანგარიშნიათ; აქედან ბ. ამირადოვს ერგო 7 მან 13 კაპ., დედაკაცს — 21 მანეთი და 39 კაპ..

ამნაირად, 40 კაპეიკში ერთი თვის განმავლობაში ბ. ამირადოვმა აიღო 7 მან. 13 კაპ., ანუ 17,825-ჯერ (თითქმის თვრამეტჯერ) მეტი თავზზე.

ბ-ნ ამირადოვს უყიდნია მსაჯულისაგან (ესლა კომერსანტია) 1200 კოლოფი თესლი ორ-ოლ ბაზად კოლოფი, მიუცია სულ 80 მანეთი; გაუყიდია თითო კოლოფი 7 მან. 13 კაპ., სულ 1426 მანეთად; თითო კოლოფზე მოუგია 6 მ. 73 კაპ., სულ 1346 მანეთი.

ამგვარი მაგალითები, ერთი კი არა, — ათასია, მაგრამ ვინაა პატრონი? — ისევ ჩვენი თავი, თორემ სხვისი იმედით ფართო დოგანის დადგება არ ვარგა. ამიტომ, თუ ჩვენი თავისათვის საკეთე გვინდა, უნდა წევრებად ჩავეწეროთ ებრეშუმეთა ამხანაგობებში, რომელნიც სად ებრეშუმის თესლსაც მიაწოდებენ და მათ, რაც შეიძლება ეთვად, საწყობებსაც ახდა-ახლოს გამართავენ, ბარკსაც კარგ ფასში მიიღებენ, ფულსაც ნადდად მისცემენ, არც წონაშ, მოატეუებენ და მოგებასაც არგუნებენ; ერთ სიტყვით. რანაირი წარმოებაც უნდა ავიღოთ, ეველგან საჭიროა ჩვენი შეთანხმება და შეერთებულად მოქმედება; მანამდე კი, სანამ ჩვენ ამხანაგობათა მნიშვნელობას შეგიგნებთ და საერთო შრომას არ მივმართავთ, მუდამ სხვებისგან ვიქნებით დაჯანებული და აგრეთვე დატაკებად დავრჩებით, როგორც ახლა ვართ».

ამხანაგი

სასამართლო

I

სამშაბათს, 23 იანვარს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე რაჭის მაზრის, სოფ. ღადიშის მცხოვრებთა კონსტანტინე და პეტრე ლევანის ძეთა წულუკიძეთა, რომელთაც ბრალად შემდეგი დანაშაულობის ჩადენა ედებოდათ: ალნიშნულ წულუკიძეების მამას ფული ჰმართებია კონსტანტინე გიორგობიანისა, რომელსაც სასამართლოში საჩივრის შემდეგ აუღია აღმასრულებელი ფურცელი, წამოუყვანია სასამართლოს ბოქაული ბ-ნი ყიფიანი და 1899 წლის 22 აპრილს მისულა წულუკიძეებისას მამულის ასაწერად. მოწმების ჩვენებით, წულუკიძეებს დაუნახავთ თუ არა კარზე მომდგარი გიორგობიანი და ბოქაული ყიფიანი, წასჩხუბებიან გიორგობიანს და დაუჭრიათ იგი ხანჯლითა და წალდით თავსა და ხელში, ხოლო ბოქაულისათვის კი შეუძახნიათ: „გაგვშორდი აქედგანაო“. ბოქაულს ამის შემდეგ შეძლება აღარ ჰქონია მოეყვანა სისრულეში სასამართლოს გარდაწყვეტილება. ეს საქმე განუხილავს პირველად ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1899 წლის 25 ოქტომბერს. საქმის გარჩევის დროს ბრალდებულთ წულუკიძეებს განუცხადებიათ, რომ ჩვენ ბოქაულს ყიფიანს არ ვიცნობდით და არც რამ ცუდი მისთვის არ გვიკადრებია, ხოლო გიორგობიანი, მართალია, დავჭერით, მაგრამ ეს მისი ბრალი იყო, რადგანაც მან პირველად ამოიღო ხმალი, შემოგვიტია და ჩვენც მხოლოდ თავის დასაცველად ვიხმარეთ იარაღი. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ორივე ძმები წულუკიძეები, რომელთათვისაც ზოგიერთ უფლება უპირატესობათა ჩამორთმევით მიუსაჯნია პატიმართა გამასწორებელ რაზმში 2 წლის ვადით გაგზავნა. ბრალდებულთ ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებიათ ტფილისის სამოსამართლო პალატაში, რომელმაც გუშინწინ, განიხილა რა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო იგინი და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

II

ამავე დღეს პალატამ განიხილა საქმე სოხუმის ოლქის, სოფ. ჭილოვის მცხოვრების პაპუხა ზაზგირიას ძე აბა—იპას (იგივე ცვიტბა) საქმე. აბა—იპას ჰბრალდებოდა თვისი მეზობლის ჯიბა ახუბას სახლის გადაწვის განზრახვა. საქმის გარემოება შემდეგია: 1899 წლის 10 ნოემბერს პაპუხა აბა—იპა საღამოზე მიპარულა ახუბას სახლთან, გაუყვია ხელი უმინო ფანჯარაში, გაუკრავს სპიჩკა და მოუკიდებია ცეცხლი ფანჯრის ფარდისათვის, მაგრამ ცეცხლი მალე შეუმჩნევიანთ და ჩაუქვრიათ; ზოგიერთ მოწმეს საქმის გარჩევის დროს განუცხადებია, რომ ჩვენ შევამჩნიეთ, როდესაც პაპუხა მიიპარა ახუბას სახლთან და განზრახ ცეცხლი მოუკიდა და როცა მივაძახეთ „პაპუხა, რას შვრები მაგასო“, იგი გაიქცა და სადღაც დაიმალაო. ქუთაისის ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია პაპუხა აბა—იპა განზრახ მეზობლის სახლის ცეცხლის მოკიდების საქმეში და გარდაუწყვეტია ორი წლის ვადით ციხეში დაპატიმრება. ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებიათ ტფილისის სამოსამართლო პალატაში, რომელმაც, განიხილა რა ეს საქმე გუშინწინ, დამნაშავედ იცნო პაპუხა აბა—იპა და გარდაუწყვიტა ყოველივე პირადათ თუ მდგომარეობით მოპოვებულ უფლება უპირატესობათა ჩამორთმევა და 2 წლის ვადით კატორღაში გაგზავნა.

საღამოს დეპეშები

24 იანვარი

პეტერბურგი. უმაღლესად ებრძანა მის უმაღლესობის ვალიის პრინცის კიევის მე-27 დრაგუნის პოლკს ეწოდოს მის უდიდებულესობის მეფე ედუარდ მე-VII-ეს კიევის მე-27 დრაგუნის პოლკის სახელი.—თურქესტანის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე, გენერალ-ლეიტანტი ივანოვი დაინიშნა თურქესტანის გენერალ-გუბერნატორად. მესამე ციმბირის კორპუსის ყოფილი უფროსი ინიშნება მერვე კორპუსის უფროსად. ინფანტერიის გენერალი სკალონი ინიშნება დაჭრილთა დამხმარებელ კომიტეტის წევრად. მეტცლის განცხადებათა კანტორა იმ ხმების გამო, რომ ვითომც ხსენებულ კანტორის პეტერბურგის განყოფილებაში ფულები იყოს გაფლანგულიო, იტყობინება, რომ გაფლანგულია ძალიან ცოტა და დანაკლისს დაჰფარავს კოზუხინის საბირჟო არტელი, რომლის წევრი იყო დამნაშავე კასსირი.

ლონდონი. გაზეთების სიტყვით, ლონდონში მოსულა არა ოფიციალური ცნობა, რომ ბურების რაზმი, პოლკოვნიკ ბლეკის სარდლობით, რომელსაც ეკუთვნიან ირლანდიელებისა და ამერიკელების ბრიგადა, ემუქრება ლორენცო-მარკეზეს. პორტუგალიის მთავრობამ დახმარება სთხოვა ინგლისელ ჯარებს. შემდეგ ამბობენ, რომ ბრიტანიის ესკადრას, რომელიც სდგას სამხრეთ-აფრიკის წყლებში, ბრძანება მოსვლია დაუყოვნებლივ წავიდეს ლორენცო-მარკეზესაკენ. ინგლისელი ჯარები დიდი სიჩქარით მიისწრაფიან პორტუგალიის საზღვრებისაკენ.

კაზლოვი. ნებართვა მოვიდა გამოიცეს გაზეთი „კაზლოვსკაია გაზეტა“, რომელიც კვირაში ორჯელ გამოვა. გაზეთის გამომცემელი—პადუჩევია.

ბაქო. „თეთრ“ ქალაქში 21 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა როტშილდის სამაზუთო შენობას, რომელშიაც ექვსი მილიონი ფუთი მაზუთი იყო; აქედან ცეცხლი გადავიდა მეორე ამ გვარსავე შენობაზე, რომელშიაც 12 მილიონი ფუთი მაზუთია. დაიწვა მუშტრა სოდგომი და დაიღუპა ბევრი ხალხი. (ეცხლი საშინლად გაძლიერდა.)

ბაკაბა. დეკემბერში [illegible] ინგლისელ ელჩებს, [illegible] ინგლისელ ელჩებს, [illegible] ინგლისელ ელჩებს,